



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

ს ი ლ ა გ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები			
სასწავლო კურსის კოდი				
სასწავლო კურსის ანოტაცია	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი თეორიები და აჩვენოს, თუ როგორ ხსნიან საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებს განსხვავებული თეორიული მიდგომები			
სასწავლო კურსის სტატუსი	☒ სავალდებულო ☐ არჩევითი			
ECTS	6 ECTS კრედიტი			
სკოლა, საფეხური, ჯგუფი, ვისაც ეკითხება სასწავლო კურსი	სკოლა	სახელმწიფო მართვის სკოლა		
	სწავლის საფეხური	☐ ბაკალავრიატი , ☒ მაგისტრატურა ☐ დოქტორანტურა		
	ჯგუფი		სწავლების სემესტრი	

ლექტორი:	სერგი კაპანაძე
სამუშაო ადგილი	კავკასიის უნივერსიტეტი
აკადემიური ხარისხი	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (თსუ)
აკად. თანამდებობა	მონვეული პროფესორი
სამსახურის ტელეფონი	2-37-77-77(177)
მობილური ტელეფონი	577733877
ელ-ფოსტა	s.kapanadze@cu.edu.ge , sergikap@gmail.com
კონსულტაციის დრო	წინასწარი შეთანხმების საფუძველზე

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სტუდენტს უნდა შეეძლოს ტექტის წაკითხვა და სრულყოფილი აღქმა მშობლიურ და ინგლისურ ენებზე, რისთვისაც, მინიმუმ ბ-2-ის დონეზე უნდა ფლობდეს ინგლისურს. სასურველია, გავლილი ჰქონდეს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული საგანი საბაკალავრო დონეზე, თუმცა ეს აუცილებელი წინაპირობა არ არის.
---	--

სასწავლო კურსის ფორმატი		
ლექცია	30 საათი	15 კვირა
სემინარი	8 საათი	8 კვირა
კონსულტაცია	2 საათი	2 კვირა
შუალედური/დასვნიითი გამოცდა	5 საათი	2 საათი-შუალედური გამოცდა, 3 საათი-ფინალური გამოცდა
სხვა	105 საათი	დამოუკიდებელი მუშაობისთვის

სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი ძირითადი თეორიული სკოლები და სხვადასხვა წამყვანი მეცნიერებების თვალსაზრისი საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურის, მასში მიმდინარე მოვლენების და ძირითად აქტორებს შორის ურთიერთობების შესახებ. სასწავლო კურსი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების რჩეული თეორიული სკოლების მიმოხილვას, როგორცაა რეალიზმი, ნეორეალიზმი, თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმი, იდეალიზმი, ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, რეჟიმების თეორია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, ინსტიტუციონალისტური თეორიები, კონსტრუქტივიზმი და კრიტიკული თეორიები. კურსი ასევე მიმოხილავს სხვა თემატურ, თუ პრაქტიკულ საკითხებს, როგორცაა საგარეო და საშინაო პოლიტიკებს შორის კავშირი და თეორიების მხრიდან ამ პროცესების ანალიზი. საკითხავი მასალა ისეა შერჩეული, რომ ნათელი მოჰყვინოს თითოეული სკოლის მიერ წამოყენებულ მთავარ იდეას. თითოეული ლექციისთვის განკუთვნილი მასალის წაკითხვა და დამუშავება უნდა მოხდეს ლექციამდე.
-------------------------------	--

სწავლის შედეგი	ცოდნა-გაცნობიერება - კურსის ბოლოს სტუდენტი იცნობს პროგრამით გათვალისწინებულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და შეუძლია მათი ინტერპრეტირება და გამოყენება; - სტუდენტი ასხვავებს ერთმანეთისაგან საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიებს და ამ თეორიებისთვის დამახასიათებელ ძირითად პოსტულატებს; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სტუდენტს შეუძლია გაანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კუთხით; - სტუდენტს შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელ თეორიულ სკოლას მიეკუთვნება და რომელი თეორიული სკოლა უკეთ ხსნის ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიას, მისი მატარებელი პოლიტიკოსის საქციელს, ან კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და პოლიტიკური მიმართულებას; დასკვნის უნარი - აქვს მოცემულ კურსში გავლილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და ამ თეორიების მიერ დასახული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის უნარი, ასევე ამ პრობლემების გადანყვეტის თეორიული გზების მოძიების და დასაბუთების უნარი; კომუნიკაციის უნარი - კურსი ძირითადად ინგლისურენოვანია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინგლისური ენის აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებას. - კურსის განმავლობაში სტუდენტებს უწევთ თეორიული მასალის დამუშავება და მათი პრეზენტაცია, რაც ხელს უწყობს მათ უნარს გაანალიზონ რთული მასალა
-----------------------	---

	და მოახდინონ მისი წარმოდგენა სწავლების უნარი - სტუდენტებს განუვითარდებათ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამეცნიერო კვლევების, აკადემიური ნაშრომების და სამეცნიერო სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. ღირებულებები - სტუდენტებს განუვითარდებათ პროცესების ობიექტურად შეფასების უნარი; - სტუდენტებს განუვითარდებათ ალტერნატიული აზრის და შეცვდულობების პატივისცემის უნარი
--	--

სავალდებულო ლიტერატურა	1. Scott Burchill ed. <i>Theories of International Relations</i>, 5th edition, 2013 2. Robert Jackson and Georg Sorensen, <i>Introduction to International Relations, Theories and Approaches</i>, Oxcord University Press, 5th edition, 2012 3. საერთაშორისო ურთიერთობების ქრესტომათია, სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004 4. ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, გამომცემლობა ნეკერი, 2006 5. Chris Brown et al, <i>International Relations in Political Thought</i>, Cambridge University Press, 2013 6. Robert Ross and Feng Zhu, <i>China's Ascent: Power, Security, and the Future of International Politics</i>, Cornell University Press, 2008 7. John Gerard Ruggie, <i>International Regimes, Transactions, and Change: Embedded Liberalism in the Postwar Economic Order</i>, International Organization, Vol. 36, No. 2, International Regimes (Spring, 1982), pp. 379-415 8. Paul Pierson, <i>The Path to European Integration: A Historical Institutional Perspective</i>, Program for the Study of Germany and Europe, Working Paper No. 5.2, October 25, 1994, http://www.people.fas.harvard.edu/~ces/publications/docs/pdfs/PSGE_WP5_2.pdf
------------------------	--

დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	• Stephen M. Walt, "International Relations: One World, many Theories," <i>Foreign Policy</i>, No. 110 (Spring 1998). • John J. Mearsheimer, <i>The Tragedy of Great Power Politics</i>, (New York: Norton, 2001), მიმოხილვა, http://www.people.fas.harvard.edu/~plam/irnotes07/Mearsheimer2001.pdf • Joseph Nye and Robert Keohane, "Realism and Complex Interdependence", <i>Power and Interdependence</i>, Third edition, Longman Publishing, New York, 2001 • Orfero Fioretos, "Historical Institutionalism in International Relations", <i>International Organization / Volume 65 / Issue 02 / April 2011</i>, pp 367 – 399 • Wlliams et al, <i>Classic Readings and Contemporary Debates in International Relations</i>, 2006, pp. 19-32 • Boucher, David, <i>Political Theories of International Relations</i>, Oxford University Press, 1998
--	---

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	კურსის სწავლებისას აქტიურად გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია - ლექციის დროს ხდება ლექტორის მიერ მასალის და ლიტერატურის პრეზენტაცია. ასევე, სხვადასხვა პრაქტიკული მაგალითების განხილვა სემინარები – კურსის ფორმატი ითვალისწინებს ყოველკვირეულ სემინარებს, როლებზეც ხდება ლიტერატურის განხილვა და თემატიკის გარშემო სუბსტანციური ან კრიტიკული მსჯელობა. ასევე ხდება სხვადასხვა უკვე ჩტარებული კვლევების კრიტიკული განხილვა და მეთოდოლოგიური შეფასება. სტუდენტი მოვალეა
--------------------------------	---

	სემინარზე მომზადებული მოვიდეს და მითითებული მასალა ჰქონდეს წაკითხული. სემინარებზე ასევე შესაძლებელია სტუდენტების მხრიდან მცირე პრეზენტაციების წარმოდგენა. წიგნზე მუშაობის და წერიტი მუშაობის მეთოდი - კურსის განმავლობაში გამოიყენება წიგნზე მუშაობის და წერიტი მუშაობის მეთოდი. სტუდენტებს მოუწევთ დიდი რაოდენობის ლიტერატურის დამუშავება და მის ანალიზი. სტუდენტები ასევე წაიკითხავენ სტატიებს, რომელთა მიმოხილვის დაწერა უწევთ თითქმის ყოველი ლექციისთვის. შემთხვევის განხილვა - სტუდენტები განიხილავენ რამდენიმე შემთხვევას (case study) და შემდეგ ახდენენ მის ანალიზს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მისადაგების გზით. გონებრივი იერიში - სტუდენტები და ლექტორი ერთად მონაწილეობენ საერთაშორისო პოლიტიკაში დღეს არსებული რამდენიმე პრობლემის განხილვაში და ცდილობენ მოძებნონ ამ პრობლემის გადაჭრის გზები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გამოყენებით. გარდა ამისა კურსის განმავლობაში გამოიყენება დისკუსია/დებატები, იმ მიზნით, რომ სტუდენტებმა კარგად შეისწავლონ და გაანალიზონ თითოეული თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები.
--	---

სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები	სტუდენტი აუცილებლად უნდა დაესწროს ლექციებს და სემინარებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ლექციების გაცდენა აისახება საბოლოო შეფასებაზე. სტუდენტთა მიერ გაცდენილი ლექციების და სემინარების აღდგენის რეგულაციას ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური. სტუდენტს მოეთხოვება ყურადღებით მოუსმინოს ლექტორს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სალექციო თემის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში. დაუშვებელია ლექცია-სემინარებსა სტუდენტის სხვა საქმით დაკავება (ერთმანეთთან საუბარი, რაიმეს გადაწერა, მობილური ტელეფონით სარგებლობა და სხვ.). დაუშვებელია წერილობითი და ზეპირი გამოკითხვის დროს ნებისმიერი სახის გადალაპარაკება სტუდენტებს შორის, წიგნიდან, კოდექსიდან, მობილური ტელეფონიდან, ან ერთმანეთისაგან გადაწერა. აღნიშნული წესის დამრღვევი სტუდენტი დატოვებს აუდიტორიას და ტესტი ან გამოცდა ჩაუბარებლად ჩაეთვლება. დაუშვებელია ლექციაზე დაგვიანება. დაუშვებელია ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა. სტუდენტი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს სასწავლო პროგრამის სწავლების პროცესში მიცემულ ყველა დავალებას და სათანადოდ ემზადებოდეს შუალედური და ფინალური გამოცდების ჩასაბარებლად.
--	---

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები	გამოკითხვის ფორმა	რაოდენობა	შეფასება	სულ ქულათა რაოდენობა
	წერიტი გამოკითხვა სახლში (სტატიების მიმოხილვა)	6	4	24
	ანალიტიკური ესე (კლასში)	1	10	10
	წერიტი გამოკითხვა (კლასში)	1	6	6
	შუალედური შეფასება (კლასში)	1	30	30
	დასკვნითი გამოცდა (კლასში)	1	30	30
	სულ ჯამი:			100 ქულა
ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა				
სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტები				

ქულების მინიჭების გამგველვეი შინაარსობრივი ცოდნის შესაფასებლად

წერიტი გამოკითხვა სახლში (24 ქულა)

სტუდენტებს ეძლევათ შესასრულებელი 6 წერიტი სამუშაო, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ სახლში. სტუდენტებს წინასწარ ეძლევათ აკადემიური სტატიები. ლექციის წინა დღეს მათ ლექტორს უნდა გადაუგზავნონ დამუშავებული სტატიების 500 სიტყვიანი მიმოხილვა. 6 წერიტი სამუშაო ფასდება 4 ქულით.

დროს ხდება სტუდენტის მიერ წინა კვირაში ახსნილი მასალის ცოდნის დადასტურება. შემოწმება ხდება; ღია კითხვებზე პასუხის ან პრაქტიკური ამოცანის ამოხსნის სახით და მიენიჭება მაქსიმუმ 4 ქულა;

ა. 3,5-4,0 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული განსახილველი სტატია. შეცდომა არ არის. საკითხი შინაარსობრივად ბოლომდე არის ამოწურული. თემატიკის გარშემო მსჯელობა მაღალ დონეზეა.

ბ. 2,5-3,5 ქულა. პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად აცნობიერებს სტატიის შინაარსს და ავტორის მთავარ არგუმენტებს; თემატურად მსჯელობა გამართულია.

გ. 2,0-3,5 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია და შინაარსობრივი ნაწილი გაუაზრებელია. სტატიიდან ნაწილები მექანიკურად არის გადმოწერილი. სტუდენტი აცნობიერებს სტატიაში განვითარებულ აზრებს, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები.

დ. 1,0-2,0 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს გაანალიზებული განსახილველი მასალა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ე. 0,5-1,0 ქულა. პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ვ. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

წერიტი გამოკითხვა კლასში (6 ქულა)

სტუდენტებს ეძლევათ საშუალება აარჩიონ რამდენიმე თეორიიდან ერთ-ერთი სურვილისამებრ და ახსნან მათთვის კლასში მიცემული შემთხვევა (case study) ამ თეორიით.

საკლასო წერიტი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმებია:

ა. 5-6 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული განსახილველი მასალა. შეცდომა არ არის. საკითხი შინაარსობრივად ბოლომდე არის ამოწურული. თემატიკის გარშემო მსჯელობა მაღალ დონეზეა. პრეზენტაცია კარგად არის ჩატარებული.

ბ. 4-5 ქულა. პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად აცნობიერებს მასალის შინაარსს და ავტორის მთავარ არგუმენტებს; თემატურად მსჯელობა გამართულია. პრეზენტაცია კარგად არის შესრულებული, თუმცა ყველა შემთხვევა საფუძვლიანად შესწავლილი არ არის.

გ. 3-4 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია და შინაარსობრივი ნაწილი გაუაზრებელია. სტატიიდან ნაწილები მექანიკურად არის გადმოწერილი. სტუდენტი აცნობიერებს სტატიაში განვითარებულ აზრებს, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები.

დ. 2-3 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს გაანალიზებული განსახილველი მასალა. აღინიშნება რამდენიმე

არსებითი შეცდომა.

ფ. 1-2 ქულა. პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

გ. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

ანალიტიკური ესე კლასში (10 ქულა)

სტუდენტს ეძლევა განსახილველი თემა, რომელზეც მან უნდა ჩაატაროს მცირე კვლევა და წარმოადგინოს თავისი არგუმენტები და კრიტიკა კლასში.

კრიტიკული ესეს შესრულება, ასევე წარმოდგენა შესაძლებელია მოხდეს ჯგუფურად, ან ინდივიდუალურად. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, რამდენიმე სტუდენტი მუშაობს ერთსა და იმავე საკითხზე და შემდეგ ჯგუფურად წარმოადგენენ თავიანთ არგუმენტებს და მიკვლეულ პასუხებს.

ანალიტიკური ესეს შეფასების კრიტერიუმებია:

ა. 8.5-10 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული განსახილველი მასალა. სტუდენტი კარგად აანალიზებს მისთვის მიცემულ შემთხვევას და შეუძლია თეორიის მასზე მორგება უშეცდომოდ. შეცდომა არ არის. საკითხი შინაარსობრივად ბოლომდე არის ამომწურული. თემატიკის გარშემო მსჯელობა მაღალ დონეზეა.

ბ. 7-8.5 ქულა. პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად აცნობიერებს მასალის შინაარსს და ავტორის მთავარ არგუმენტებს. ქეისი კარგად აქვს გაანალიზებული. შეცდომა არ არის. თემატურად მსჯელობა გამართულია.

გ. 5.5-7 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია და შინაარსობრივი ნაწილი გაუზრებელია. შემთხვევის შესწავლიდან ნაწილები მექანიკურად არის გადმოწერილი. სტუდენტი აცნობიერებს სტატიაში განვითარებულ აზრებს, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. თეორია არ არის მორგებული. ცალკე აქვს თეორია აღწერილი და ცალკე შემთხვევა. მათ შორის არ აღინიშნება სოლიდური ბმა.

დ. 4-5.5 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს გაანალიზებული განსახილველი მასალა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არ ჩანს თეორიის კარგი ფლობა. არ ჩანს შემთხვევის კარგი ანალიზი. შემთხვევაზე თეორია მორგებული არ არის.

ე. 2.5-4 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. შემთხვევა არ არის დამუშავებული და აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები. სტუდენტს არ აქვს გააზრებული არც შემთხვევა და არც თეორიული მასალა. აღინიშნება მრავალი არსებითი შეცდომა. საერთოდ არ ხდება თეორიის და შემთხვევის დაკავშირება, თუმცა ცალკე არის ორივეს აღწერის მცდელობა.

ვ. 1-2.5 ქულა. პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ზ. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

შუალედური გამოცდა: 30 ქულა

შუალედური შემოწმების დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება ღია კითხვებზე პასუხის სახით. კითხვარში შევა 7 ღია შეკითხვა, საიდანაც სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს ნებისმიერ 6-ს. თითოეული შეკითხვა შეფასდება 5 ქულით.

შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები:

ა. 4-5 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომა არ არის დაშვებული. საკითხი შინაარსობრივად ბოლომდე არის ამოწურული. თემატიკის გარშემო მსჯელობა მაღალ დონეზეა. განხილული ლიტერატურის ან მაგალითის გარშემო არგუმენტირებული კრიტიკული ხედვა შეფასდება უმაღლესი ქულით.

ბ. 3-4 ქულა. პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. თემატურად მსჯელობა გამართულია.

გ. 2-3 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია და შინაარსობრივი ნაწილი გაუზრეველია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები.

დ. 1,0-2,0 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ე. 0,5-1,0 ქულა. პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ვ. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

დასკვნითი სემესტრული გამოცდა: 30 ქულა

დასკვნითი სემესტრული გამოცდა ტარდება წერითი სახით. საბოლოო გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ძირითადი მეთოდია ღია კითხვაზე პასუხი და თავისუფალი თემა.

ღია კითხვებზე, როგორც წესი, მოდის 21 ქულა. დასმულია 9 ღია შეკითხვა, რომელთაგან სტუდენტებმა უნდა უპასუხოთ ნებისმიერ 7-ს. თითოეული კითხვა ფასდება 3 ქულით.

მეორე ნაწილში მოცემულია საერთაშორისო ურთიერთობების რომელიღაც 4 თეორია, რომელთაგან სტუდენტებმა უნდა აარჩიონ ნებისმიერი 3. თითოეული საკითხი ფასდება 3 ქულით.

საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

ა. 2.5-3 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული განსახილველი საკითხი. შეცდომა არ არის. საკითხი შინაარსობრივად ბოლომდე არის ამოწურული. თემატიკის გარშემო მსჯელობა მაღალ დონეზეა.

ბ. 2-2.5 ქულა. პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად აცნობიერებს საკითხის შინაარსს და ამა თუ იმ თეორიის მთავარ არგუმენტებს; თემატურად მსჯელობა გამართულია.

გ. 1.5-2 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია და შინაარსობრივი ნაწილი გაუზრეველია. საკითხის ნაწილები მექანიკურად არის დანერგილი. სტუდენტი აცნობიერებს თეორიების ძირითად პოსტულატებს, თუმცა ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან და რეალობასთან.

დ. 1,0-1.5 ქულა. პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს გაანალიზებული განსახილველი მასალა. აღინიშნება რამდენიმე

არსებითი შეცდომა.

ფ. 0,5-1,0 ქულა. პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ვ. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

შეფასების ინდექსირებული სისტემა და მაჩვენებლები		
	შეფასების შკალა	ქულა
ფრიალი	A (91%-ზე მეტი)	91-100
ძალიან კარგი	B (81%-90%)	81-90
კარგი	C (71%-80%)	71-80
დამაკმაყოფილებელი	D (61%-70%)	61-70
საკმარისი	E (51%-60%)	51-60
ვერ ჩააბარა	FX (41%-50%)	41-50
ჩაიტყრა	F (40% და ნაკლები)	0-40

აკადემიური კალენდარი (ლექციებისა და სემინარების გადანაწილება სემესტრში)			
I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
ლექცია 2 საათი	ლექცია 2 საათი	ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა #1-4 ქულა)–1 საათი	ლექცია 3 საათი
V კვირა	VI კვირა	VII კვირა	VIII-IX კვირა
ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა #2-4 ქულა)–1 საათი	ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა, #3-4 ქულა)– 1 საათი	ლექცია–1 საათი კონსულტაცია– 1 საათი	შუალედური გამოცდა2 სთ.
X კვირა	XI კვირა	XII კვირა	XIII კვირა
ლექცია 2 საათი	ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა, #4-4 ქულა)– 1 საათი	ლექცია 3 საათი	ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა, #5-4 ქულა)–1 საათი
XIV კვირა	XV კვირა	XVI კვირა	XVII კვირა
ლექცია – 2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა, #6-4 ქულა)–1 საათი	ლექცია–2 საათი სემინარი (წერიტი გამოკითხვა, კლასში–6 ქულა)– 1 საათი	ლექცია–1 საათი კონსულტაცია– 1 საათი	ლექცია – 2 საათი სემინარი ანალიტიკური ესე– 10 ქულა)–1 საათი
XVIII კვირა	XIX კვირა	XX კვირა	XXI კვირა
დასკვნითი გამოცდა 3 სთ.		დასკვნითი გამოცდის აღდგენა	Fx–გადაბარება

სასწავლო კურსის შინაარსი

მეცადინეობების კალენდარული გეგმა				
მეცადინეობის დრო და ადგილი		დღე -	დანწყება -	დამთავრება -
N	თარიღი	მეცადინეობის თემა, საშინაო დავალება, ლიტერატურა		
1-ლი კვირა		 თემა 1. საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის თეორიული საფუძვლები განსახილველი საკითხები; • კურსის მომთხილვა, შეფასების სისტემის გაცნობა • სუ-ს თეორიების მნიშვნელობის მიმოხილვა • სუ-ს თეორიების პრაქტიკული გამოყენება და ქვისები სავალდებულო ლიტერატურა • რონდელი, თავი 1. საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დამატებითი ლიტერატურა არ არის		
მე- 2 კვირა		 თემა 2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და პარადიგმების მიმოხილვა განსახილველი საკითხები; • სუ-ს თეორიების და პარადიგმების მიმოხილვა • სუ-ს თეორიების ისტორიული ექსკურსი სავალდებულო ლიტერატურა <i>ქრესტომათია</i>, გვ. 29-55 Jackson and Sorensen, pp. 33-66 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Stephen M. Walt, "International Relations: One World, many Theories," <i>Foreign Policy</i>, No. 110 (Spring 1998).		

მე- 3 კვირა	 თემა 3. სუ-ს კლასიკური თეორიები. კლასიკური რეალიზმი და ანტიკური ხანა. თუკიდიდე და მელოსის დიალოგი • კლასიკური რეალიზმის ახსნა • ანტიკური მიდგომები რეალიზმისადმი • გადანწყვეტილების მიღება შებენიანი არქიტექტურის პირობებში • ძალის პრიმატი • მორალის არ-არსებობა სუ-ში • მელოსის დიალოგი სავალდებულო ლიტერატურა Brown et al., Thucydides, From History of Peloponnesian War, pp. 34-61 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არ არის გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #1-4 ქულა. გონებრივი იერიში, დისკუსია, დებატი.
მე- 4 კვირა	 თემა 4. სუ-ს კლასიკური თეორიები. კლასიკური რეალიზმი და თანამედროვეობა; ჰანს მორგენტაუ, თომას ჰობსი, ნიკოლო მაკიაველი განსახილველი საკითხები: • მორგენტაუს პოლიტიკური რეალიზმის 6 პრინციპი • შუა საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების ჰობსისეული ხედვა • ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“ და სახელმწიფოს მართვის ძირითადი პრინციპები სავალდებულო ლიტერატურა Brown et al, pp. 335-341, pp. 257-270 ქრესტომათია, გვ. 18-29 (მორგენტაუ) დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Burchill, pp. 32-34 Jackson and Sorensen, pp. 41-45 გამოკითხვის ფორმა: დისკუსია, დებატი
მე- 5 კვირა	 თემა 5. ნეორეალიზმი. პირველი მსოფლიო ომის ახსნა ნეორეალიზმის მიხედვით განსახილველი საკითხები: • საერთაშორისო სისტემა და მისი ანარქიულობა • საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ელემენტები და მათ შორის ურთიერთობები • ანარქია და წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობებში • საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების როლი სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, გვ. 56-83 Burchill, pp. 34-44 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Jackson and Sorensen, pp. 51-53 გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #2-4 ქულა. დისკუსია; შემთხვევის შესწავლა; ქრესტომათიიდან ქენეთ უოლცის სტატიის მიმოხილვის ჩაბარება ლექციის დანერგვამდე (4 ქულა)
მე- 6 კვირა	 თემა 6. თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმი განსახილველი საკითხები: • ჯონ მირშაიმერის თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსის თეორია • დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება ჰეგემონობისადმი • აშშ-ს და ჩინეთის ურთიერთობების ახსნა თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით

		სავალდებულო ლიტერატურა Tang Shiping, From Offensive to Defensive Realism, a Social Revolutionary Interpretation of China's Security Strategy, in Ross and Zhu, pp. 141-163 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა John J. Mearsheimer, The Tragedy of Great Power Politics, (New York: Norton, 2001), მიმოხილვა, http://www.people.fas.harvard.edu/~plam/notes07/Mearsheimer2001.pdf გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #3 –4 ქულა. შემთხვევის შესწავლა, სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა (4 ქულა), რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე.
მე- 7 კვირა		თემა 7. ლიბერალიზმი. საერთაშორისო რეჟიმები • თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის • ფარდობითი და აბსოლუტური მოგების ცნება • თანამშრომლობა ანარქიის და უნდობლობის პირობებში • ტუსაღა დილემა და თანამშრომლობის თამაშთა თეორიის მოდელები • რეჟიმები, როგორც თანამშრომლობის გამოვლინება საერთაშორისო ურთიერთობებში • რეჟიმების ტიპები, კლასიფიკაცია სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, გვ. გვ 358-378 John Gerard Ruggie, International Regimes, Transactions, and Change: Embedded Liberalism in the Postwar Economic Order, International Organization, Vol. 36, No. 2, International Regimes (Spring, 1982), pp.379-415 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Burchill, pp. 55-83 კონსულტაცია –1 საათი გამოკითხვის ფორმა: სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე (John Ruggie)
მე- 8 კვირა		შუალედური გამოცდა – 30 ქულა
მე- 9 კვირა		
მე- 10 კვირა		
		თემა 8. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება განსახილველი საკითხები; • ქვეყნები და საერთაშორისო ინსტიტუტები • საერთაშორისო ინსტიტუტების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში • კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ძირითადი პოსტულატები • საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზები და ქვეყნების დამოკიდებულება მათ მიმართ სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, 324-357 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Joseph Nye and Robert Keohane, "Realism and Complex Interdependence", <i>Power and Interdependence</i>, Third edition, Longman Publishing, New York, 2001

მე-11 კვირა	 თემა 9. ინსტიტუციური თეორიები განსახილველი საკითხები; • ახალი ინსტიტუციონალისტური თეორიები • ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი და სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი • გზაზე დამოკიდებულება და საერთაშორისო ინსტიტუტები • ევროკავშირში ინტეგრაციის ახსნა ისტორიული ინსტიტუციონალიზმით • ინსტიტუტების როლის, მათი შექმნის, გაძლიერების და გაუქმების ახსნა ინსტიტუციური თეორიებით სავალდებულო ლიტერატურა Paul Pierson, The Path to European Integration: A Historical Institutionalist Perspective, Program for the Study of Germany and Europe, Working Paper No. 5.2, October 25, 1994, http://www.people.fas.harvard.edu/~ces/publications/docs/pdfs/PSGE_WP5_2.pdf დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Orfero Fioretos, “Historical Institutionalism in International Relations”, International Organization / Volume 65 / Issue 02 / April 2011, pp 367 - 399 გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #4 – 4 ქულა. სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე (Paul Pierson)
მე-12 კვირა	 თემა 10. დემოკრატიული მშვიდობის თეორია განსახილველი საკითხები; • კანტის ლიბერალური მშვიდობა • მაიკლ დოილის დემოკრატიული მშვიდობის თეორია • დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობები ერთმანეთთან და არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, გვ. 379-434 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Williams et al, <i>Classic Readings and Contemporary Debates in International Relations</i>, 2006, pp. 19-32 გამოკითხვის ფორმა: სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა , რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე (მაიკლ დოილი); ანალიტიკური ესეს დაწერა დემოკრატიული მშვიდობის თეორიის შესახებ (6 ქულა)
მე-13 კვირა	 თემა 11. საერთაშორისო საზოგადოება და ინგლისური სკოლა განსახილველი საკითხები; • საერთაშორისო საზოგადოების თეორიის ძირითადი პოსტულატები • წესრიგი და სამართლიანობა საერთაშორისო სისტემაში • სახელმწიფო მართვა და პასუხისმგებლობა (ეროვნული, საერთაშორისო, ჰუმანიტარული) • საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკა სავალდებულო ლიტერატურა Burchill, pp. 84-109 ქრესტომათია, გვ. 116-140 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

		Jackson and Sorensen, pp. 140-174
		გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #5 –4 ქულა სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე (შედლი ბულის სტატია ქრესტომათიდან)
მე-14 კვირა		📖 თემა 12. კონსტრუქტივიზმი განსახილველი საკითხები; • ანარქიის კონსტრუირება საერთაშორისო ურთიერთობებში • იდენტობა • სოციალური ქცევა და სოციალური სწავლა • მიღებადობის ლოგიკა vs. შედეგობრიობის ლოგიკა • საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე წარსულის და იდენტობის გავლენა სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, გვ. 435-472 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Burchill, 188-212 გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა #6–4 ქულა შემთხვევის ანალიზი: ვენესუელა-კუბას ურთიერთობები; სავალდებულო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც უნდა ჩაბარდეს ლექტორს ლექციის დაწყებამდე (ალექსანდრ ვენდტის სტატია ქრესტომათიდან)
მე-15 კვირა		📖 თემა 13. კრიტიკული თეორიები, ფემინიზმი განსახილველი საკითხები; • სქესის როლი საერთაშორისო ურთიერთობების აღქმაში • ომი და გენდერი • საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების კრიტიკა გენდერული პერსპექტივიდან სავალდებულო ლიტერატურა Burchill, pp. 137-160, pp. 213-234 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არ არის გამოკითხვის ფორმა: წერიტი გამოკითხვა (კლასში)–6 ქულა. დისკუსია, დებატი, გონებრივი იერიში
მე-16 კვირა		📖 თემა 14. მარქსიზმი განსახილველი საკითხები; • მარქსიზმი • ლენინიზმი • კლასი, როგორც ანალიზის ერთეული • დამოკიდებულების თეორია • იმპერიალიზმი • ჩრდილოეთი vs სამხრეთი სავალდებულო ლიტერატურა ქრესტომათია, გვ. 473 - 495 დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა Jackson and Sorensen, pp. 195-226
		კონსულტაცია –1 საათი
მე-17 კვირა		📖 თემა 15. განვლილი მასალის მიმოხილვა

		- ყველა განვლილი მასალის მიმოხილვა - დღეს არსებული რომელიმე აქტუალური მოვლენის ანალიზი სუ-ს თეორიების მიერ
		სავალდებულო ლიტერატურა
		არ არის
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		არ არის
		გამოკითხვის ფორმა: ანალიტიკური ესე - 10 ქულა.
მე-18 კვირა		დასკვნითი გამოცდა – 30 ქულა
მე-19 კვირა		
მე-20 კვირა		დასკვნითი გამოცდის აღდგენა
მე-21 კვირა		FX-ის გადაბარება